ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6523332001
თარიღი:28/11/2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 14

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 24.11.2023 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **- გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე,დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე,გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი : **ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 15 00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“

მომხს. ***გელა ჩიკვაიძე***

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N31.03.30.579 საკასტრო კოდზე რეგისტრირებული 400კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

მომხს. ***გელა ვარდოსანიძე***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი“ და ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებზე:

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10551,8 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 945,0 ათასი ლარით (9,8%-ით). სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები განისაზღვრება 176,0 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 1572,2 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლების სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს.

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები. მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 12800,0 ათას ლარს, პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 715,0 ათასი ლარი. ვანის მუნიციპალიტეტის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილიც. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლებშიც გაგრძელდება: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და

ექსპლოატაცია; გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სკვერების და ბილიკების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა; სამოქალაქო ბიუჯეტი;

დასუფთავება - 1000,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; აღნიშნული მიმართულებით 2024 წელ იგეგმება 300 ერთეული სანაგვე კონტეინერის შეძენა, 150,0 ათასი ლარის ფარგლებში, ხოლო 850,0 ათასი ლარი მიიმართება კომუნალური გაერთიანების დაფინანსებაზე. გაერთიანების პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდა დაგეგმილია 10%, არანაკლებ 50 ლარით. ასევე, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახრსებით 2024 წელს შესყიდული იქნება 2 ერთეული ახალი ნაგავმზიდი, 792,5 ათასი ლარის ღირებულებით.

განათლება - 3000,0 ათასი ლარი. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია საბავშვო ბაღის ტანამშრომლების შრომის ანაზრაურების ზრდა 100 ლარის ოდენობით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2380,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია სპორტისა და კულტურის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდა 10%, არანაკლებ 50 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1140,0 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდა 10%, არანაკლებ 50 ლარით. ასევე სოციალური პროგრამები გაზრდილია 7,7%, 73 ათასი ლარით, 1 000 ლარამდე.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -100,0 ათასი ლარი.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას. აღნიშნული

სფეროს დაფინასნება 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 20,0 ათასი ლარით,

მმართველობა - 4615,0 ათასი ლარი. მართველობითი ხარჯები, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა, სარეზერვო ფონდისა და ვალდებულებების მომსახურებას, განსაზღვრულია 4615,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების გაზრდა 10%-ით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი განხილული იყო ყველა კომისიის სხდომაზე, ასევე ფრაქციის სხდომებზე. პროექტი ძირითადად მოწონებულ იქნა, თუმცა გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეაჯამა და ჩამოაყალიბა ერთობლივი შენიშვნები რომელიც უნდა გადაეგზავნოს მუნიპიპალიტეტის მერიას. ეს შენიშვნებია;

1. აუცილებელია ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ცხოველების და მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით;

2. სასურველია მუნიციპალიტეტში გაიზარდოს სპორტული ღონისძიებების გამართვის ხარჯები, შესაბამის ა(ა)იპ-ს დაევალოს უზრუნველყოს შიდა რაიონული პირველობების ჩატარება ჭიდაობის სახეობებში, ჭადრაკში და სპორტის სხვა სახეობებში; ღონისძიებების გამართვის ხარჯები ბიუჯეტში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 ათას ლარს;

3. წარჩინებული სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ფულადი რესურსები.

4. ბიუჯეტში გამოიყოს თანხები მუნიციპალიტეტის თემებში სამ ლოკაციაზე (შუამთა, დიხაშხო, ზეინდარი) კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით;

5. ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხები 2008 წელს დაღუპული გმირების სსოვნის პატივსაცემად სპორტული ღონისძიებების მოწყობისათვის შესაბამის თემებში;

6. დარეგულირდეს სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი (დაზუსტდეს მარშრუტები);

7. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტისა და ბეტონის გზების ორმული შეკეთებისათვის;

8. მოხდეს ქალაქ ვანის ქუჩების სამისამართო აბრების და ფირნიშების დამზადება და ადგილებზე განთავსება, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი თანხა.

9 გაიზარდოს ა(ა)იპ სარაგბო კლუბ „ვანის აიეტის“ დაფინანსება, რათა კლუბმა შეძლოს უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა;

10. ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იყოს პირველკლასელთა კვების პროგრამა, აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა 133 380 ლარი.

შენიშვნები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული შენიშვნებით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის:

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართული შენიშვნებით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან გათვალისწინებით მომხსენებელმა ***გელა ვარდოსანიძემ*** წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N31.03.30.579 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 400კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებული მიწის ნაკვეთზე იგეგმება ამბულატორიის მშენებლობა , რაც ძალიან სასიხარულო და მისაღებია.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N31.03.30.579 საკასტრო კოდზე რეგისტრირებული 400კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში, უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.6523328001

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი